ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული
კვლევებისა და განვითარების ცენტრი

„სუფთა გარემო – ჯანსაღი ცხოვრებისთვის“

„ჩვენ - ჯანსაღი მომავლისათვის“

პარტნიორი – ძდექ მცხეთა-მთიანეთის კომიტეტი

"ჩვენ-ჯანსაღი მომავლისათვის"

ძ.დ.ე.ქ. მცხეთა-მთიანეთის კომიტეტი

მცხეთა – 2020წ

მოსახლეობის კმაყოფილების დონის შესწავლა მცხეთის მუნიციპალიტეტში საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის შესახებ

კვლევის დეტალური ანგარიში

ნუნუ მღებრიშვილი - პროექტის დირქტორი
თამარ მაისურაძე - პროექტის კოორდინატორი
ქეთევან ცხაკაია –ექსპერტი
ნანუკი ალიბეგაშვილი – კვლევის ხელმძღვანელი

მცხეთა – 2020

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ორგანიზაციების „ჩვენ ჯანსაღი მომავლისათვის“ და ძდექ მცხეთა-მთიანეთის კომიტეტის მიერ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა" ფარგლებში.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან (CSI), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით.

პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.

დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციები "ჩვენ ჯანსაღი მომავლისათვის“ და „ძდექ მცხეთა-მთიანეთის კომიტეტი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის, სხვა დონორებისა და კონსორციუმის პარტნიორების შეხედულებებს.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა

სარჩევი

შესავალი..... 5

არსებული სიტუაცია.....6

მიზნები..... 10

კვლევის მეთოდოლოგია 10

ინსტრუმენტი და პროცედურა.....10

კვლევის მონაწილეები.....11

კვლევის შედეგები და ანალიზი..... 12

აღწერითი სტატისტიკა.....12

მონაცემთა ანალიზი 13

დასკვნები და რეკომენდაციები 19

დანართები 23

შესავალი

მცხეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებისათვის აქტუალურია ნარჩენებით გარემოს დაბინძურების, მუნიციპალური ნარჩენების მართვისა და თანამედროვე მიდგომების დანერგის საკითხები. ქვეყანაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ნარჩენების მართვის სექტორის სრულყოფისა და განვითარებისათვის საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ. 2015 წლის 15 იანვარს ძალაში შევიდა საქართველოს „ნარჩენების მართვის კოდექსი“, რომლის შესაბამისად განისაზღვრა მუნიციპალიტეტების ვალდებულებები მუნიციპალური ნარჩენების მართვისათვის. კერძოდ, ყველა მუნიციპალიტეტს გააჩნდა ვალდებულება 2017 წლის 31 დეკემბრამდე შეემუშავებინა და მიეღო მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა, რომელიც შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო საქართველოს ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიისა (2016-2030 წწ.) და სამოქმედო გეგმის (2016-2020 წწ.)ძირითად მიზნებსა და ამოცანებთან.

2018 წლის 22 თებერვალს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა „მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა“ (განკარგულება N47), ხოლო 2018 წლის 28 ივნისს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ აღნიშნულ გეგმაში შეტანილი იქნა ცვლილებები და დამტკიცდა საბოლოო სახით (განკარგულება N170). მცხეთის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა მოიცავს 2018-2022 წლების პერიოდს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ წინა წლებთან შედარებით, გარკვეული საქმიანობაა განხორციელებული მცხეთის მუნციპალიტეტში მუნიციპალური ნარჩენების მართვის გაუმჯობესებისათვის. თუმცა ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა არსებობს ამ სფეროში, რომელიც ნათლად გამოიკვეთა პროექტის „სუფთა გარემო - ჯანსაღი გარემოსთვის“ ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგისა და მოსახლეობის საჭიროებების კვლევის პროცესში.

პროექტის განხორციელებაში ჩართული ორგანიზაციების „ჩვენ-ჯანსაღი მომავლისათვის“ და „ძდექ მცხეთა-მთიანეთის კომიტეტი“ მიერ მცხეთის მუნიციპალიტეტის 4 დასახლებულ პუნქტში ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა მოსახლეობის კმაყოფილების დონის შესასწავლად, რომლის შედეგები წარმოდგენილია მოცემულ ანგარიშში.

არსებული სიტუაცია

<u>მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა</u>

მცხეთის მუნიციპალიტეტს აქვს „მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა“, რომელიც მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თავდაპირველად 2018 წლის 22 თებერვალს დამტკიცდა (განკარგულება N47), ხოლო 2018 წლის 28 ივნისს აღნიშნულ გეგმაში შეტანილი იქნა ცვლილებები და დამტკიცდა საბოლოო სახით (განკარგულება N170). მცხეთის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმა მოიცავს 2018-2022 წლების პერიოდს.

ნარჩენების მართვის გეგმაში დაწვრილებით არის აღწერილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანის არსებული მდგომარეობა, გაკეთებულია საჭიროებების შესაბამისი ანალიზი და დასახულია სტრატეგიული მიზნები მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის გაუმჯობესებისა და ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგიის მოთხოვნების რეალიზაციისათვის.

მცხეთის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმაში ჩამოყალიბებულია ხედვა და განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, კერძოდ:

ხედვა - სუფთა და ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფა ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომების შესაბამისი სისტემების დანერგვით.

გეგმის სტრატეგიული მიზნებია:

1. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ეფექტიანობის ამაღლება.
2. ნარჩენების სეპარირებული შეგროვების ხელშეწყობა.
3. რეგულარულად მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და მოსახლეობის ინფორმირება მყარი ნარჩენების მართვის კუთხით.

<u>სამიზნე ტერიტორიებზე მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება - ტრანსპორტირების საკითხები</u>

მცხეთის მუნიციპალიტეტი მოიცავს 1 ქალაქს - მცხეთას და 62 სოფელს,მათ შორის მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია წეროვანის დევნილთა დასახლება ახალგორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობით და თვითმმართველობით, ასევე შიდა ქართლის 2008 წელს ოკუპირებული სოფლებიდან დევნილი მოსახლეობა.აღსანიშნავია, რომ თავად წეროვანის დასახლება მოსახლეობის რაოდენობით უთანაბრდება ქალაქ მცხეთის მოსახლეობას.

პროექტის სამიზნე ტერიტორიებს წარმოადგენს ქ მცხეთა -7940 მოსახლე; ს. მუხრანი -6197 მოსახლე; ნიჩბისის თემი კი -1767; წეროვანის დევნილთა დასახლება -7934 მოსახლე.

სამიზნე ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებას და გატანას ნაგავსაყრელზე უზრუნველყოფს მცხეთის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“. მცხეთის მუნიციპალიტეტში მოსახლეობისათვის ნარჩენების შეგროვების სერვისის მიწოდება ხდება, ძირითადად, ქალაქ მცხეთის, წეროვანის დევნილთა დასახლების და 62 სოფლის ტერიტორიაზე, რისთვისაც გამოიყენება როგორც კონტეინერული, ისე

ზარის სისტემა. ქალაქის, დევნილთა დასახლებებისა და სოფლების ტერიტორიებზე ნარჩენების შესაგროვებლად განთავსებულია კონტეინერები მოცულობით 1,1 მ^3.

წეროვანის დევნილთა დასახლებაში ცხოვრობს ახალგორის რაიონიდან დევნილი მოსახლეობა, რომელიც კომპაქტურადაა დასახლებული მცირე ტერიტორიაზე. ამ დასახლებაში საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანას ახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტი. მრავალრიცხოვანი დასახლების ტერიტორიაზე განთავსებულია 1,1 მ^3 მოცულობის კონტეინერები, რომელთა დაცლა ხდება ყოველდღიურად სპეციალური ნაგავმზიდის საშუალებით. მიუხედავად ამისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ არასაკმარისია როგორც კონტეინერების რაოდენობა, ისე კონტეინერების დაცლის ჯერადობა დღის განმავლობაში. აღნიშნული ვითარება განაპირობებს ქუჩების დაბინძურებას ნარჩენებით გადავსებული კონტეინერების გარშემო (სურ.1).

ამასთან ერთად, კვირა დღეებში უმეტესწილად არ ხდება კონტეინერების დაცლა, რაც კონტეინერების გადავსებისა და მიმდებარე ტერიტორიების დაბინძურების მიზეზი ხდება.

სურ. 1. კონტეინერები წეროვანის დასახლებაში

სურ.2. ბაღის ნარჩენები

ამ პრობლემას გაზაფხული-შემოდგომის დროს ემატება მოსახლეობის ბაღის ნარჩენები: გასხლული ხეების ტოტები, ხმელი ღეროები და ფოთლები, რომელსაც მოსახლეობა ყრის ნარჩენებისათვის

განკუთვნილი კონტეინერების ახლო (სურ.4) ან/და წვავს საკუთარ ბაღებში. კონტეინერებთან დაყრილი ნარჩენები გროვდება და ხელს უშლის როგორც მანქანების მოძრაობას, ისე ფეხით მოსიარულეებს.

აქტუალურია მოსახლეობაში სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების დროს წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების საკითხი. სამწუხაროდ, მოსახლეობა აღნიშნული სახის ნარჩენებს სახლთან ან სახლიდან მოშორებით ტერიტორიებზე დაყრით იშორებს, რაც გარემოს დაბინძურების წყაროს წარმოადგენს. მაგალითად, წეროვანისა და წილკანს შორის 3 კილომეტრიანი გზის პირას აღინიშნება საამშენებლო ნარჩენების დაგროვება, ანალოგიური პრობლემა იკვეთება სოფ. მუხრანში, ნიჩბისა და ქ. მცხეთაშიც.

არის შემთხვევები, როდესაც მოსახლეობა მცირე მოცულობის და ზომის სამშენებლო ნარჩენებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერში ათავსებს ან პირდაპირ ქუჩაში ტოვებს.

პრობლემაა მოსახლეობის დამოკიდებულება ისეთი სახის ბიოდეგრადირებადი ნარჩენების მიმართ, როგორიცაა, მაგალითად, გამხმარი ფოთლები, გასხლული ხეების ტოტები, სარეველები და ა.შ. ხშირად აღნიშნული სახის ნარჩენებს მოსახლეობა წვავს, რაც იწვევს ჰაერის დაბინძურებას და საშიშროებას უქმნის საკუთარ და გარშემო მყოფთა ჯანმრთელობას. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ტელევიზიით გასულმა ვიდეორგოლებმა ნარჩენებით გარემოს დაბინძურებისათვის საჯარიმო სანქციების შესახებ და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ განხორციელებულმა სანქციებმა (მცირედ, მაგრამ მაინც არსებულმა) შეამცირა როგორც წეროვანის დასახლებაში, ისე სხვა დასახლებულ პუნქტებში ნარჩენების წვა. თუმცა, სამაგიეროდ გაიზარდა კონტეინერებთან ან პირდაპირ ქუჩის პირას დაყრილი ბაღის ნარჩენების მოცულობა. აღნიშნულმა, კიდევ უფრო გაართულა ნარჩენების ორგანიზებულად გატანის საკითხი.

სურ.3.სამშენებლო ნარჩენები.

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ მცხეთაში მნიშვნელოვანი საქმიანობა არის განხორციელებული მუნიციპალური ნარჩენების მართვის გაუმჯობესებისათვის, ჯერ კიდევ არსებობს საკითხები,

რომელიც გადაჭრას საჭიროებს. კერძოდ, გარდა ცენტრალური ქუჩებისა და განახლებული მცხეთის ტერიტორიისა, სხვა ქუჩების დასუფთავება არ ხდება. არ არის საკმარისი დეკორატიული ურნების რაოდენობა ცენტრალურ ქუჩებზე, სადაც ბევრი ტურისტი მოძრაობს, ხოლო სხვა ქუჩებზე ანალოგიური ურნები საერთოდ არ არის.

<u>ნარჩენების სეპარირების მდგომარეობა.</u>

როგორც ცნობილია, ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად 2019 წლის 1 თებერვლიდან ამოქმედდა ვალდებულება, რომლის მიხედვით ყველა მუნიციპალიტეტს უნდა დაეწყო ნარჩენების სეპარირების სისტემების დანერგვა. კერძოდ, პლასტიკის, ქაღალდის, მინისა და მეტალის ნარჩენების განცალკავებული შეგროვება.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მცხეთის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს „ნარჩენების სეპარირებული შეგროვების ხელშეწყობა“ (მიზანი 2), რაც ითვალისწინებს პლასტიკის, მინის და ქაღალდის ნარჩენების სეპარირებული შეგროვების უზრუნველყოფას უკვე 2019 წლიდან. არსებული ინფორმაციით, ქალაქ მცხეთასა და ზოგიერთ სოფელში დაიდგა სპეციალური კონტეინერები (7 კონტეინერი -მცხეთაში, 21 კონტეინერი-სოფლებში), და შეგროვებული და რეალიზებული იქნა 10,26 ტონა ქაღალდი.

წეროვანის დევნილთა დასახლებაში ქაღალდის ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისათვის კონტეინერები არ არის განთავსებული.

სხვა სახის ნარჩენების (პლასტიკი, მინა, ლითონი) განცალკევებული შეგროვებისათვის რაიმე პირობები სამიზნე ტერიტორიებზე ჯერ კიდევ არ არის შექმნილი.

ასევე არ არის სათანადოდ გავრცელებული კომპოსტირება, მიუხედავად იმისა, რომ საოჯახო მეურნეობებში საკმაოდ დიდი რაოდენობის ბიოდეგრადირებადი ნარჩენები წარმოიქმნება. კომპოსტირების პოპულარიზაცია და გავრცელება მნიშვნელოვნად შეამცირებს ნაგავსაყრელზე გასატანი ნარჩენების მოცულობას და გარემოს დაბინძურებას.

<u>ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მოსაკრებელი.</u>

ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე მოქმედებს დასუფთავების მოსაკრებლის ვალდებულება როგორც მოსახლეობისათვის, ისე მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოებისა და კომერციული ობიექტებისათვის. მუნიციპალიტეტის დანარჩენი მოსახლეობა არ იხდის დასუფთავების მოსაკრებელს.

ქალაქ მცხეთის მოსახლეობისათვის დიდ პრობლემას წარმოადგენს დასუფთავების მოსაკრებლის გადახდა, რომელიც ხორციელდება ბანკის მეშვეობით და არა გადახდის აპარატებით, რაც მოქალაქეებისათვის მოუხერხებელია.

სამიზნე ტერიტორიებზე (წეროვანის დევნილთა დასახლება, ქ. მცხეთა, სოფ. მუხრანი და ნიჩბისი) განხორციელებული დაკვირვებების შედეგად, მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება-გატანის საქმეში გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- შერეული ნარჩენების შეგროვებისათვის კონტეინერების არასაკმარისი რაოდენობა;

- ხშირ შემთხვევაში, ამორტიზებული და ექსპლუატაციისათვის უვარგისი კონტეინერები;
- მოსახლეობიდან ნარჩენების გატანის (მათ შორის, კონტეინერების დაცლის) არასაკმარისი სიხშირე, დროის დიდი ინტერვალები ნაგავმზიდი მანქანების მოძრაობის გრაფიკში;
- არასანქცირებული, სტიქიური ნაგავსაყრელები;
- მოსახლეობის დაბალი გარემოსდაცვითი თვითშეგნება, რაც ხშირად განაპირობებს ნარჩენებით უკონტროლო დაბინძურებას;
- მოსახლეობას არა აქვს საშუალება დაიწყოს პლასტიკის, ქაღალდისა და მინის სეპარირება;
- დაბალია კომპოსტირების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება. მიუხედავად დიდი რაოდენობის ბიოდეგრადირებადი ნარჩენებისა, კომპოსტირება არ არის შესაბამისად გავრცელებული.
- კონტეინერებისა და ნაგავმზიდი ტექნიკის სანიტარული დამუშავება, კერძოდ,- არ ხდება დეზინფექცია.
- ასევე არ ხდება სოფლებში ქუჩების დაგვა/დასუფთავება.

მიზნები

პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კმაყოფილების კვლევა საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის შესახებ, კერძოდ, ნარჩენების შეგროვება - გატანის მომსახურების, დასუფთავების ხარისხის და ა.შ. შესახებ.

კვლევის მეთოდოლოგია

ინსტრუმენტი და პროცედურა

კვლევა შემოიფარგლება მუნიციპალური ნარჩენების, ანუ საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სისტემის შესწავლით და არ ეხება სხვა ტიპის ნარჩენებს.

კითხვარი მომზადა ორ ეტაპად:

პირველ ეტაპზე წეროვანში პროექტის ოფისში შედგა შეხვედრა ფოკუს-ჯგუფთან, რომლის შედეგადაც გამოიკვეთება ძირითადი მიმართულებები და კითხვარის ბლოკები.მეორე ეტაპზე კვლევის ხელმძღვანელის მიერ შემუშავდა კითხვარი.

რაოდენობრივ კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ - გამოკითხვა; მონაცემების მოსაპოვებელ ინსტრუმენტად გამოვიყენეთ ანკეტა, რომელიც შედგებოდა ორი ბლოკისაგან. პირველი ბლოკი წარმოადგენდა დემოგრაფიულ ნაწილს, რომელიც მოიცავდა კითხვებს რესპოდენტის ასაკის, სქესისა და საცხოვრებელი ადგილის შესახებ. რაც შეეხება ინსტრუმენტის მეორე ბლოკს, შედგებოდა ათი კითხვისაგან, (დანართი N1).

რაოდენობრივი კვლევისთვის რესპონდენტების შერჩევა მოხდება შემდეგი პრინციპით:

შერჩევის პირველად, ერთეულს წარმოადგენს სააღწერო უბანი (კლასტერი), უბნის შერჩევა მოხდა დასახლების ტიპის მიხედვით. შერჩევის მეორადი ერთეული იქნება ოჯახი. საბოლოო ერთეული - რესპონდენტი იქნება ოჯახის ერთ-ერთი სრულწლოვანი წევრი.

კვლევა განხორციელდა 2020 წლის თებერვლის თვეში, წეროვანის დევნილთა დასახლებაში ორგანიზაცია „ჩვენ - ჯანსაღი მომავლისათვის“ მიერ, ქალაქ მცხეთაში, სოფლებში მუხრანსა და ნიჩბისში - ძდექ მცხეთა-მთიანეთის კომიტეტის მიერ, მოხალისეების ჩართულობით. **სულ გამოიკითხა 130 რესპონდენტი. უბნების შერჩევა მოხდა განსხვავებულად:**

1. მცხეთაში გამოიკითხება40 რესპონდენტი 10 ცენტრალური ქუჩებიდან. 10-10 განაპირა ქუჩებიდან და 5-5 ორი გარეუბნიდან.

2. მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანში გამოიკითხა 40 რესპონდენტი 5 სხვადასხვა უბნიდან. ოჯახი შეირჩა ნარჩენების კონტეინერთან როგორც ახლოს, ისე მოშორებით მცხოვრები ოჯახები.

3. მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წეროვანის იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში, ნარჩენების კონტეინერები განლაგებულია მხოლოდ ჰორიზონტალურ ქუჩებზე, იქიდან გამომდინარე რომ თანაბრად გამოგვეკითხა ურნებთან ახლოს და შორს მცხოვრებნი, დასახლება დავყავით 6 კვადრატად, თითოული კვადრატში გამოვიკითხეთ 5 მოსახლე.

გამოკითხვა ჩაატარა პროექტის კოორდინატორმა მოხალისეებთან ერთად. გამოიკითხა 30 რესპოდენტი, ძირითადად ქალები, რადგანაც ქალები ახდენენ საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაყრას.

4. სოფელ ნიჩბისში გამოიკითხა 20 რესპონდენტი. მათ შორის, 10 ქვემო ნიჩბისში, 5-5 შუა და ზემო ნიჩბისში. გამოიკითხენ ნახევარი ცენტრალურ გზასთან (ხევის პირად) მცხოვრები რესპონდენტები და ნახევარი სოფლის სიღრმეში მცხოვრებნი.

კვლევის მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო ქალაქ მცხეთისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლების - სოფ. მუხრანის და სოფ. ნიჩბისის მოსახლეობამ. მონაწილეები შეირჩა კვლევის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 130 მოქალაქემ. კვლევის მონაწილეთა შორის 97 მდედრობითი, ხოლო 33 მამრობითი სქესის წარმომადგენლები იყვნენ. მათ შორის, ქალაქ მცხეთაში მდედრობითი სქესის - 33, ხოლო მამრობითი სქესის- 7 მოსახლე, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მუხრანის წარმომადგენელთა შორის მდედრობითი სქესის -23, ხოლო მამრობითი სქესის - 17 მოქალაქე, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ნიჩბისში მდედრობითი სქესის - 13, ხოლო მამრობითი სქესის - 7 მონაწილე, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანის იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლების წარმომადგენელთა შორის 28 მდედრობითი, ხოლო 2 მამრობითი სქესის წარმომადგენელი.

კვლევის შედეგები და ანალიზი

აღწერითი სტატისტიკა

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 130 რესპონდენტმა. კვლევის მონაწილეთა სქესთა შორის პროცენტული განაწილება შემდეგნაირია.

დიაგრამა N 4.1.1



გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო მცხეთის მუნიციპალიტეტის 4 ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებმა 130 მოქალაქემ, მათი პროცენტული განაწილება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით შემდეგნაირია.

დიაგრამა N 4.1.2



გამოკითხვა ჩატარდა მცხეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 18 წლის ასაკს ზემოთ, სრულწლოვან მოქალაქეებში. კვლევის მონაწილეთა ასაკებს შორის პროცენტული განაწილება გამოიყურება შემდეგნაირად.

დიაგრამა N 4.1.3



მონაცემთა ანალიზი

საკვლევი ინსტრუმენტის ანალიზისა და კვლევის ჩატარების შემდეგ განხორციელდა მონაცემთა აღწერითი სტატისტიკა.

დიაგრამა 4.2.1

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კმაყოფილების კვლევა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის შესახებ, თუ რამდენად კმაყოფილნი არიან მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე ნარჩენების მართვით (ნარჩენების გატანა, დასუფთავების ხარისხი და ა.შ). გამოკითხვის მონაცემების აღწერითი სტატისტიკის შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულ მოქალაქეთა (130 მოქალაქე) მხოლოდ 2% აფასებს საკუთარი საცხოვრებელი უბნის სისუფთავის დონეს როგორც ძალიან სუფთას. 55% თვლის, რომ მისი საცხოვრებელი უბანი სუფთაა, 25% თვლის, რომ მისი საცხოვრებელი უბანი არის დაბინძურებული, გამოკითხული მოსახლეობის 11% აღნიშნავს, რომ მისი საცხოვრებელი უბანი ძალიან დაბინძურებულია, ხოლო გამოკითხული მოსახლეობის 8% აღნიშნავს, რომ არ არის დაინტერესებული საკუთარი საცხოვრებელი უბნის სისუფთავის დონით.

დიაგრამა N 4.2.2



კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო მოსახლეობის აზრის დადგენა, რამდენად აწუხებთ საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემა და აღმოჩნდა, რომ გამოკითხული მოქალაქეების დაახლოებით 32%-ს ძალიან აწუხებს აღნიშნული, დაახლოებით 33% ამბობს, რომ აწუხებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემა, მოქალაქეთა დაახლოებით 28% აღნიშნავს, რომ ნაკლებად შეწუხებულია აღნიშნულით, ხოლო მხოლოდ 5.38% თვლის, რომ საერთოდ არ აწუხებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემა. გამოკითხულთა 1.54% კი აღნიშნავს, რომ საერთოდ არ არის დაინტერესებული აღნიშნული საკითხით.

დიაგრამა N 4.2.3



კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დადგინდა, რომ გამოკითხულ მოქალაქეთა მხოლოდ 6.15% არის სრულიად კმაყოფილი მისი ქუჩიდან/ეზოდან ნარჩენების გატანისა და კონტეინერების დაცლის გრაფიკით. გამოკითხულთა 34.62% აღნიშნავს, რომ კმაყოფილია ქუჩიდან/ეზოდან ნარჩენების გატანისა და კონტეინერების დაცლის გრაფიკით, 32.31% მიიჩნევს, რომ ნაკლებადაა კმაყოფილი

აღნიშნულით, ხოლო გამოკითხულ მოქალაქეთა 26.92% სრულიად უკმაყოფილოა საკუთარი საცხოვრებელი ტერიტორიიდან ნარჩენების გატანისა და კონტეინერების დაცლის გრაფიკით.

დიაგრამა N 4.2.4



კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო გამოეკვლია მოქალაქეთა მოსაზრებები, რამდენად კმაყოფილები იყვნენ ზოგადად მათი ქუჩის/ეზოს ნარჩენებისგან დასუფთავების ხარისხით. გამოკითხულ მოქალაქეთა მხოლოდ 3.08% გამოთქვამს სრულ კმაყოფილებას, ხოლო41.54% მიიჩნევს, რომ კმაყოფილია აღნიშნულით. გამოკითხული მოსახლეობის 30% ამბობს, რომ ნაკლებადაა კმაყოფილი მისი ქუჩის/ეზოს ნარჩენებისგან დასუფთავების ხარისხით, ხოლო 25.38% აღნიშნავს, რომ სრულიად უკმაყოფილოა ნარჩენებისგან დასუფთავების ხარისხით.

დიაგრამა N 4.5



კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო დაედგინა მოსახლეობის კმაყოფილება მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე კონტეინერების რაოდენობის შესახებ და გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ მხოლოდ გამოკითხულთა 4.62% თვლის, რომ სრულიად საკმარისია მის ქუჩაზე არსებული კონტეინერების რაოდენობა, 26.92% კი თვლის, რომ საკმარისია აღნიშნულის რაოდენობა. 40.77% მოსახლეობისა აღნიშნავს, რომ მის ქუჩაზე კონტეინერების რაოდენობა ნაკლებადაა საკმარისი, ხოლო გამოკითხულ მოქალაქეთა 27.69%-ს სრულიად არასაკმარისად მიაჩნია მის ქუჩაზე არსებული კონტეინერების რაოდენობა.

დიაგრამა N 4.2.6



კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო მოსახლეობის აზრის გამორკვევა დასუფთავების მოსაკრებელთან დაკავშირებით, არსებობის შემთხვევაში გადაიხდიდნენ თუ არა აღნიშნულს. გამოკითხული 130 მოქალაქიდან 44.62% აღნიშნავს, რომ გადაიხდიდნენ დასუფთავების მოსაკრებელს, 33.08% ამბობს, რომ არ გადაიხდიდნენ აღნიშნულს, ხოლო გამოკითხულთა 22.3%-ს არ იციან არსებობის შემთხვევაში გადაიხდიდნენ თუ არა მოსაკრებელს.

დიაგრამა N 4.2.7



კვლევისათვის მნიშვნელოვანი იყო დაედგინა, გადაუხდიათ თუ არა დასუფთავების მოსაკრებელი მოქალაქეებს. გამოკითხული მოქალაქეების მხოლოდ 31.54% აღნიშნავს, რომ გადაუხდიათ, ხოლო 68.46% ამბობს, რომ არ გადაუხდიათ აღნიშნული მოსაკრებელი.

დიაგრამა N 4.2.8



კვლევისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო მოსახლეობის აზრის დადგენა, რამდენად შესაბამისად თვლიან ისინი დასუფთავების მოსაკრებლის ხარისხს დასუფთავების ხარისხთან მიმართებაში. აღნიშნულ საკითხზე მოსაზრება დააფიქსირეს იმ მოქალაქეებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ მათ გადაუხდიათ დასუფთავების მოსაკრებელი (41 მოქალაქე). გამოკითხულთა მხოლოდ 7.32% თვლის, რომ სრულიად შესაბამისია დასუფთავების მოსაკრებელი და დასუფთავების ხარისხი ერთმანეთთან, 56.1% მიაჩნია, რომ დასუფთავების ხარისხი, მის მოსაკრებელთან შესაბამისობაშია, 26.83%-ს მიაჩნია, რომ ნაკლებად შესაბამისობაშია აღნიშნული ერთმანეთთან და გამოკითხულთა მხოლოდ 9.75% მიიჩნევს, რომ სრულიად შეუსაბამოა დასუფთავების მოსაკრებელი დასუფთავების ხარისხთან.

დიაგრამა N 4.2.9



კვლევისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა იმისდადგენა, ფლობდნენ თუ არა მცხეთის მუნიციპალიტეტის მოქალაქეები ინფორმაციას კომპოსტირების შესახებ.კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხული მოსახლეობის მხოლოდ 13.85% პროცენტი ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს კომპოსტირება, დანარჩენი 86.15%-მა კი არ იცის მისი მნიშვნელობა.

დიაგრამა N 4.2.10



კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საინტერესო იყო დაგვედგინა თუ რა ხერხით იცილებს მოსახლეობა საყოფაცხოვრებო ნარჩენებს საკუთარი ოჯახებიდან. გამოკითხულთა უდიდესმა ნაწილმა, 125-მა მოქალაქემ (96.15%) აღნიშნა, რომ ნარჩენებს ათავსებს ქუჩაში დადგმულ კონტეინერში, გამოკითხულ მოქალაქეთა 2.31% (3 მოქალაქე) აღნიშნავს, რომ ნარჩენები მიაქვს სპეციალურ გადამზიდს, რომელიც გრაფიკის მიხედვით დადის, გამოკითხულთა მხოლოდ 7.69% (10 მოქალაქე)აკომპოსტირებს საყოფაცხოვრებო ნარჩენებს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულ ხერხთან ერთად ზოგიერთი მოსახლეოჯახიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენებს ეზოში დაწვით იცილებს. ასეთ მოქალაქეთა რიცხვი, გამოკითხულთა 12.31%-ს შეადგენს.

დიაგრამა N 4.2.11



დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნები

მუნიციპალური ნარჩენების მართვის სერვისების განვითარება და მოსახლეობის შესაბამისი მომსახურეობით უზრუნველყოფა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალაქისა და სოფლების გარემოს მდგომარეობაზე, მისი სისუფთავის ხარისხზე. კვლევაში მონაწილეთა 50%-ზე მეტი აღნიშნავს, რომ მათი საცხოვრებელი უბანი შედარებით სუფთაა და არ არის დაბინძურებული საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. თუმცა, ამავე დროს, 35%-ზე მეტს მიაჩნია, რომ მათი საცხოვრებელი უბნების მდგომარეობა ვერ უზრუნველყოფს მოთხოვნებს და დაბინძურებულია.

სამიზნე ჯგუფებთან განხორციელებული კვლევის შედეგად ნათლად გამოიკვეთა, რომ საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის საკითხები, კერძოდ, ნარჩენების შეგროვება-გატანის მომსახურეობის ხარისხი ჯერ კიდევ აქტუალურია მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის. ამაზე მიუთითებს ის, რომ კვლევაში მონაწილეთა 60%-ზე მეტი შეწუხებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების არასათანადო მართვით და უკმაყოფილოა მათი საცხოვრებელი ტერიტორიიდან ნარჩენების გატანისა და კონტეინერების დაცლის გრაფიკით. .

ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს, რომელიც ასევე გამოიკვეთა კვლევის პროცესში, წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და გატანის ტექნიკური აღჭურვილობა. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაკრები კონტეინერების რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს არსებულ საჭიროებებს. კვლევაში მონაწილეთა 65%-ზე მეტი მიუთითებს, რომ კონტეინერების რაოდენობა არ არის საკმარისი წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად და აუცილებლობას წარმოადგენს მათი რაოდენობის გაზრდა. ასევე ხშირ შემთხვევებში ექსპლუატაციაშია დაზიანებული და ამორტიზებული კონტეინერები, რაც ქუჩების ნარჩენებით დაბინძურების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს.

ნარჩენების კონტეინერების სანიტარული მდგომარეობა ვერ პასუხობს მოთხოვნებს. როგორც წესი, კონტეინერებისა და მათი განთავსების ადგილების სადეზინფექციო სამუშაოები არ ხორციელდება, რაც მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სხვადასხვა სისტემების დანერგვა და განხორციელება აქტუალურ პრობლემად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლის 1 თებერვლიდან საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტს ევალებოდა პლასტიკის, ქაღალდის, მინისა და მეტალის ნარჩენების განცალკევებული შეგროვების ღონისძიებების დაწყება. აქვე უნდა აღინიშნოს, მცხეთის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა ითვალისწინებს სეპარირებასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებას, კერძოდ, 2019 წლიდან პლასტიკის შეგროვების, ხოლო 2020 წლიდან ქაღალდის ნარჩენების შეგროვების

ღონისძიებების რეალიზაციას. კარგია, რომ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები არის გადადგმული, კერძოდ, ქაღალდის სეპარირებისათვის.მაგრამ აღნიშნული ღონისძიებები არ არის საკმარისი. ასევე, ნარჩენების სეპარირება არ მიმდინარეობს წეროვანის დევნილთა დასახლებაში, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი დასახლებაა მცხეთის მუნიციპალიტეტში ქალაქ მცხეთის შემდეგ.

კომპოსტირებადი ნარჩენების კომპოსტირება არ სარგებლობს სათანადო პოპულარობით და არ არის შესაბამისად გავრცელებული, მიუხედავად იმისა, რომ სამიზნე ტერიტორიებზე წარმოქმნილი ნარჩენების არანაკლებ 40-45% ექვემდებარება კომპოსტირებას. ინდივიდუალური კომპოსტირების დანერგვა ხელს შეუწყობს ნაგავსაყრელზე გასატანი ნარჩენების რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირებას, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს საერთო დანახარჯებს მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება-გატანაზე. ასევე საგრძნობლად შემცირდება ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენების მოცულობა და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ნარჩენების გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა.

როგორც კვლევამ დაგვანახა, მოსახლეობის უმრავლესობა არ ფლობს ინფორმაციას კომპოსტირების და მისი სარგებლის შესახებ. გამოკითხულთა მხოლოდ 13%-ს აქვს წარმოდგენა კომპოსტირების შესახებ. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებას ნარჩენების კომპოსტირების აუცილებლობის და მისი საბოლოო პროდუქტის (კომპოსტის) სარგებლიანობის შესახებ.

დაბალია მოსახლეობის თვითშეგნების დონე ნარჩენების განკარგვის საკითხებში, რაზეც მიუთითებს ნარჩენებით ქუჩებისა და მიმდებარე ტერიტორიების დაბინძურება, ნარჩენების შემკრები კონტეინერების ირგვლივ მიმოფანტული საყოფაცხოვრებო და, ხშირად, სამშენებლო ნარჩენები, არასანქცირებული ნაგავსაყრელები და ა.შ.. ჯერ კიდევ გვხვდება ნარჩენების წვის შემთხვევები. მოსახლეობის ნაწილი ნარჩენებს იცილებს მდინარეებსა და ხეობებში გადაგდებით. არასაკმარისია მოსახლეობის საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებები ნარჩენების მართვის შესახებ.

დასუფთავების მოსაკრებელი მოქმედებს მხოლოდ ქალაქ მცხეთის მოსახლეობისა და ორგანიზაცია-დაწესებულებებისათვის. თუმცა, გამოკითხულთა 40%-ზე მეტი მზადაა გადაიხადოს დასუფთავების მოსაკრებელი, თუ მომსახურეობა იქნება შესაბამისი ხარისხის. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ მოსახლეობის ნაწილი გამოთქვამს მზაობას ხელი შეუწყოს ნარჩენების მართვის გაუმჯობესებას საკუთარ მუნიციპალიტეტში.

რეკომენდაციები

- მოხდეს მცხეთის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის განახლება, სადაც კონკრეტულად იქნება წარმოდგენილი მისაღწევი მაჩვენებლები, როგორც ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირების, ისე სეპარირებული შეგროვებისათვის.

- საჭიროა მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმოს წეროვანის დევნილთა დასახელებაში ნარჩენების მართვის საკითხებს. კერძოდ, შეიქმნას წეროვანის დასახლებისათვის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა, რაც გააუმჯობესებს არა მარტო საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირების ღონისძიებებს, არამედ ხელს შეუწყობს სეპარირებასა და კომპოსტირებას ამ დასახლებაში.

- მცხეთის მუნიციპალიტეტში შეიქმნას ნარჩენების მართვის სამსახური, რომელიც ხელს შეუწყობს საქმიანობას, როგორც ნარჩენების მართვის დაგეგმვისა და მონიტორინგის მიმართულებით, ასევე პასუხისმგებელი იქნება დასუფთავების მოსაკრების სისტემის რეალიზაციაზე.

- პლასტიკის, ქაღალდის და მინის სეპარირებული შეგროვების სისტემების დანერგვისათვის თანამშრომლობის განვითარება არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ბიზნეს-სექტორთან. ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობების მოძიება.
- საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით ტექნიკური აღჭურვილობის განახლება და მომსახურე პერსონალის პროფესიული უნარების ამაღლება.

- მცხეთის მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს არსებული კონტეინერებისა და ავტოტრანსპორტის სადეზინფექციო სამუშაოების განხორციელება არსებული ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად.

- „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად გარემოს დაბინძურებისათვის არსებული სანქციების აქტიური გამოყენება, რათა ამაღლდეს დამბინძურებელთა პასუხისმგებლობა.

- აღიკვეთოს ნარჩენების წვის შემთხვევები. ამ მიზნით განხორციელდეს შეხვედრები, პუბლიკაციები ნარჩენების წვის უარყოფითი ზეგავლენის შესახებ როგორ ადამიანის ჯანმრთელობაზე, ისე გარემოზე.

- არსებული არასანქცირებული ნაგავსაყრელების აღკვეთა, ნარჩენებისგან განთავისუფლებულ ადგილებში კონტეინერების დადგმა და შესაბამისი მომსახურეობის უზრუნველყოფა.

- სამშენებლო ნარჩენებისათვის სპეციალური პოლიგონის მოწყობა და მოსახლეობის ინფორმირება შესაბამისი მომსახურეობის წესების შესახებ.

- კომპოსტირების პროპაგანდა და სადემონსტრაციო კომპოსტირების მოედნების შექმნა. კომპოსტირება ხელს შეუწყობს ბაღის ნარჩენების შემცირებას საერთო ნარჩენების მოცულობაში, ხოლო მის შედეგად წარმოქმნილი კომპოსტი გამოყენებული იქნება საოჯახო მეურნეობის საჭიროებებისათვის. განსაკუთრებით ეს საკითხი აქტუალურია წეროვანის დასახლებაში, სადაც მოსახლეობას საკუთარი ბაღები გააჩნია.

- ადგილობრივმა თვითმმართველობამ, ასევე არსებულმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და საინიციატივო ჯგუფებმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმონ მოსახლეობის სხვადასხვა ფენების ინფორმირებას ნარჩენების გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის, ნარჩენების მართვის თანამედროვე მიდგომების, სეპარირების საჭიროებისა და სარგებლის შესახებ. ამ საქმეში ახალგაზრდებისა და მოსწავლეების ჩართვა.

- დასუფთავების აქციების ხშირი ორგანიზება. კარგი იქნება, თუ მუნიციპალიტეტში დაწესდება დასუფთავების დღეები, რაც კიდევ უფრო აამაღლებს მოსახლეობის ჩართულობასა და პასუხისმგებლობას გარემოს დაცვის მიმართ.

დანართები

დანართი N1 - ანკეტა - მოსახლეობის კმაყოფილების დონის შესწავლა მცხეთის მუნიციპალიტეტში საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის შესახებ

მოგესალმებით,

აღნიშნული კვლევა ტარდება პროექტ "სუფთა გარემო - ჯანსაღიცხოვრებისთვის" ფარგლებში. პროექტის მიზანია, მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის ეფექტურობის გაზრდის ხელშეწყობა. ორგანიზაციის ამოცანაა, მოსახლეობაში ცნობიერების დონის ამაღლება, საბაღე ტერიტორიაზე წარმოქმნილი ბიო-ნარჩენების მართვის თაობაზე და ასევე, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი საინფორმაციო კამპანის მოწყობა.

კვლევის მიზანია, მცხეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კმაყფილების კვლევა, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის შესახებ, თუ რამდენად კმაყოფილნი არიან, მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე ნარჩენების მართვით (ნარჩენების გატანა, დასუფთავების ხარისხიდაა.შ).

ქვემოთ მოცემულია კითხვარი, რომელსაც უნდა უპასუხოთ ინსტრუქციის მიხედვით. არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხები, ასე რომ გთხოვთ, მაქსიმალურ გულწრფელობას. კვლევა ანონიმურია, თქვენგან იღებული პასუხები გამოყენებული იქნება მხოლოდ კვლევის მიზნებისთვის, რაც დაგვეხმარება კვლევის სრულყოფილად განხორციელებაში.

წინასწარ დიდ მადლობას გიხდით კვლევაში მონაწილეობისათვის!

ასაკი:

18–30 წ.

31–40 წ.

41–50 წ

51–60 წ.

61 წ. და მეტი

სქესი: მამრობითი მდედრობითი

საცხოვრებელი ადგილი: _____

გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ კითხვებზე მონიშნოთ თქვენთვის სასურველი პასუხის ველი აღნიშვნით - X

1. გაქვთ თუ არა ინფორმაცია, როგორი ეკოლოგიური მდგომარეობაა თქვენს საცხოვრებელ ქალაქში/სოფელში?

დიახ არა არ ვარ დაინტერესებული

2. როგორ შეაფასებდით თქვენი საცხოვრებელი უბნის სისუფთავის დონეს?

ძალიან სუფთა სუფთა დაბინძურებული ძალიან დაბინძურებული არ ვარ დაინტერესებული

3. რამდენად გაწუხებთ საყოფაცხოვრებო ნარჩენების პრობლემა?

ძალიან მაწუხებს მაწუხებს ნაკლებად მაწუხებს საერთოდ არ მაწუხებს არ ვარ დაინტერესებული

4. გაკმაყოფილებთ თუ არა, თქვენი ქუჩიდან/ეზოდან ნარჩენების გატანის, კონტეინერების დაცლის გრაფიკი?

სრულიად მაკმაყოფილებს მაკმაყოფილებს ნაკლებად კმაყოფილი ვარ სრულიად უკმაყოფილო ვარ

5. საკმარისია თუ არა თქვენს ქუჩაზე კონტეინერების რაოდენობა?

სრულიად საკმარისია საკმარისია ნაკლებად საკმარისია სრულიად არ არის საკმარისი

6. რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი ქუჩის/ეზოს ნარჩენებისგან დასუფთავების ხარისხით?

სრულიად მაკმაყოფილებს მაკმაყოფილებს ნაკლებად კმაყოფილი ვარ სრულიად უკმაყოფილო ვარ

7. არსებობის შემთხვევაში გადაიხდიდით თუ არა დასუფთავების მოსაკრებელს?

დიახ არა არ ვიცი

8. გადაგიხდიათ თუ არა დასუფთავების მოსაკრებელი? (უარყოფითი პასუხის შემთხვევაში გამოტოვეთ მე-8 შეკითხვა).

დიახ არა

9. არის თუ არა შესაბამისობაში დასუფთავების მოსაკრებელი დასუფთავების ხარისხთან?

სრულად შესაბამისია შესაბამისია ნაკლებად შესაბამისია სრულიად შეუსაბამოა

10. ფლობთ თუ არა ინფორმაციას კომპოსტირების შესახებ? (დადებითი პასუხის შემთხვევაში დააფიქსირეთ რა სახის ინფორმაციას ფლობთ)

დიახ არა

11. რა ხერხით იცილებთ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს თქვენი ოჯახიდან?

1 ვათავსებ ქუჩაში დადგმულ კონტეინერში

2 მიაქვს სპეციალურ ნაგავმზიდს, რომელიც დადის გრაფიკის მიხედვით

3 ვწვავ ეზოში

4 ვახარისხებ და ვაბარებ ნარჩენების მიმღებ პუნქტებს

5 ორგანულ ნარჩენებს ვაკომპოსტებ

6 ვყრი მდინარეში

7 ვყრი ქუჩაში

8 როგორც მომიხერხდება (დააკონკრეტეთ)

.....

დანარართი N2

აღწერითი სტატისტიკა და მონაცემთა ანალიზი ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით

ქალაქი მცხეთა

ცხრილი N1



ცხრილი N2



ცხრილი N4



ცხრილი N5



ცხრილი N6



ცხრილი N7



ცხრილი N8


საკმარისია თუ არა თქვენს ქუჩაზე კონტეინერების რაოდენობა?
სრულიად არ არის საკმარისი
ნაკლებად საკმარისია
საკმარისია
სრულიად საკმარისია
7.50%
50%
35%
7.50%
0.00%
10.00%
20.00%
30.00%
40.00%
50.00%
60.00%

ცხრილი N9


არსებობის შემთხვევაში გადაიხდიდით თუ არა დასუფთავების მოსაკრებელს?
100.00%
90.00%
80.00%
70.00%
60.00%
50.00%
40.00%
30.00%
20.00%
10.00%
0.00%
92.50%
5%
2.50%
დიახ
არა
არ ვიცი
92.50%
5%
2.50%

ცხრილი N10



ცხრილი N11



ცხრილი N12



ცხრილი N13



სოფელ წეროვნის იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლება

ცხრილი N1



ცხრილი N2



ცხრილი N4



ცხრილი N5



ცხრილი N6



ცხრილი N7



ცხრილი N8



ცხრილი N9



ცხრილი N10



ცხრილი N12



ცხრილი N13



მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელი მუხრანი

ცხრილი N1



ცხრილი N2



ცხრილი N4



ცხრილი N5



ცხრილი N6



ცხრილი N7



ცხრილი N8



ცხრილი N9



ცხრილი N10



ცხრილი N12


ფლობთ თუ არა ინფორმაციას კომპოსტირების შესახებ?
20%
80%
დიახ
არა

ცხრილი N13


რა ხერხით იცილებთ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს თქვენი ოჯახიდან?
8 როგორც მომიხერხდება (დააკონკრეტეთ)
0%
7 ვყრი ქუჩაში
0%
6 ვყრი მდინარეში
0%
5 ორგანულ ნარჩენებს ვაკომპოსტებ
15%
4 ვახარისხებ და ვაბარებ ნარჩენების მიმღებ პუნქტებს
0%
3 ვწვავ ეზოში
0%
2 მიაქვს სპეციალურ ნაგავმზიდს, რომელიც დადის გრაფიკის მიხედვით
0%
1 ვათავსებ ქუჩაში დადგმულ კონტეინერში
100%
0% 10% 20% 30% 40% 50% 60% 70% 80% 90% 100%

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელი ნიჩბისი

ცხრილიN1



ცხრილიN2



ცხრილიN4



ცხრილიN5



ცხრილიN6



ცხრილი N7



ცხრილი N8



ცხრილიN9



ცხრილიN10


გადაგიხდიათ თუ არა დასუფთავების მოსაკრებელი?
15%
85%
დიახ
არა

ცხრილიN11


არის თუ არა შესაბამისობაში დასუფთავების მოსაკრებელი დასუფთავების ხარისხთან?
100%
90%
80%
70%
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
0%
0%
0%
100%
სრულად შესაბამისია
შესაბამისია
ნაკლებად შესაბამისია
სრულიად შეუსაბამოა

ცხრილიN12



ცხრილი N13